პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 23 0000119966

03/02/2023

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სთვის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (ს/კ: 205390487) პროფესიული მომზადების პროგრამა - საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი /01530/ - განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 3 თებერვლის №118660 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა